ავამაღლოთ მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, ვიბრძოლოთ მშენებლობის მაღალი ხარისხისათვის, მისი ღირებულების შემცირებისათვის!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 219 (10613) | ოთხშაბათი, 19 სექტემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

თბილისში, საბურთალოზე, მსხვილი ბლოკებით და დიდი პანელებით ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებელთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): პირველი კოშკურა ამწის მემანქანე ნ. ჯაფარიძე, მემონტაჟე ვ. კოროტკოვი, ბრიგადირის თანაშემწეები გ. ბახუტაშვილი და ო. მაქაძე, მეორე კოშკურა ამწის მემანქანე ე. სახარულიძე, დამხმარე მუშა მ. წიკლაური, ოსტატი-ათისთავი ა. ბარანიკოვი, მემონტაჟეთა ბრიგადირი ვ. ჩიბურდანიძე.

ფოტო ვ. ზარიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლებისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკთა ამოცანები

ჩვენი დიადი სამშობლოს სამეურნეო განვითარების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია — მშენებლობის ფართო, გაბედული, თანდათან მზარდი მასშტაბებით განვითარება. ეს ნიშანი ახასიათებს ჩვენს რესპუბლიკაში გაჩაღებულ მშენებლობასაც. იქ, სადაც ჯერ კიდევ ამ ათიოდე წლის წინათ უკაცრიელი ველი იყო, დიდი, სანმუშოდ კეთილმოწყობილი, მთელი რესპუბლიკის საამაყო ინდუსტრიული ქალაქი — რუსთავი აღმოცენდა.

ლიახვისა და მტკვრის შესართავთან საქართველოს საფეიქრო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი ობიექტის — გორის ბამბეულის ქსოვილთა კომბინატის კორპუსები აღიმართნენ, ქუთაისში ამუშავდა საუკეთესოდ გამართული საავტომობილო ქარხანა, მშენებლებმა აიძულეს მდინარეები ამუშავებინათ პირველი ხრამჰესი, ჩითახევჰესი, სოხუმჰესი, სამგორის ჰიდროელექტროსადგურთა კასკადი, შაორჰესი, ბეჟუჰესი, მეორე გუმათჰესი და ა. შ.

საქართველოში მარტო მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში აშენებულ და საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა 1,3 მილიონამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ქართველი ხალხის ისტორიას არ ახსოვს მშენებლობის ისეთი მასშტაბები, როგორიც ახლაა. ამას საქართველოს მშრომელები უმადლიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ ხელმძღვანელობას; საბჭოთა მთავრობის განუხრელ მშობლიურ მზრუნველობას. ამიტომ არის, რომ რესპუბლიკის მშრომელები, მათ შორის მშენებლები, დამპროექტებლები, საშენ მასალათა საწარმოების კოლექტივები უმაგალითო ენთუზიაზმით ჩაებნენ პარტიის XX ყრილობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული დიადი ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაში მოპოვებულ დიდ წარმატებებზე მეტყველებს საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მიერ ამასწინათ გამოქვეყნებული ცნობა.

უეჭველია ჩვენს მშენებლებს შეეძლოთ უკეთესად მუშაობა, მეტ წარმატებათა მოპოვება, რომ მათ არ აფერხებდეს მთელი რიგი საკითხების მოუწესრიგებლობა.

ჩვენი მშენებლებისა და სამშენებლო ინდუსტრიის კოლექტივთა მუშაობას ახასიათებს ისეთი ნაკლოვანებები, როგორიც არის მშენებლობის მაღალი ღირებულება, სამშენებლო სამუშაოთა დაბალი ხარისხი, მშენებლობის ვადების შეუწყნარებელი გაჭიანურება.

მეექვსე ხუთწლედში საქართველოს საცხოვრებელ ფონდს უნდა შეემატოს 1,7 მილიონი კვადრატული მეტრი ფართობი, ე. ი. ყოველწლიურად სულ ცოტა 340 ათასი კვადრატული მეტრი. წელს ამ დავალების შესრულება რეალური საფრთხის წინაშეა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, როგორც ცნობილია, საბინაო მშენებლობის დარგში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 88 პროცენტით შესრულდა. გარდატეხა მიღწეული არ ყოფილა შემდგომ თვეებშიც. ჩვენმა ბინათმშენებლებმა რესპუბლიკას 10.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი დააკლეს.

წლის ბოლომდე კიდევ არის დრო იმისათვის, რომ მშენებლებმა შეძლონ არსებული ჩამორჩენის გამოსწორება, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების პირნათლად შესრულება. ამისათვის საჭიროა მშენებლებმა, უწინარეს ყოვლისა მათმა ხელმძღვანელმა სამეურნეო, პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაუდებელ საბრძოლო ამოცანად დაისახონ: ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენება, სამშენებლო პროცესების კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება და შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის უზრუნველსაყოფად მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის შეუნელებელი ზრუნვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამშენებლო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა დამუშავებას და მათს განუხრელ განხორციელებას. ყველა მშენებლობაზე მოიპოვება გამოუყენებელი რეზერვები. საჭიროა მხოლოდ მასების შემოქმედებითი აქტივობის მიზანდასახულად წარმართვა, ამ რეზერვების გამოვლინება და გამოყენება.

ყველა ღონისძიება უნდა იქნას მიღებული სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის ასამაღლებლად, ტიპური პროექტების მასობრივად გამოსაყენებლად, მშენებლობის ვადების შესამჭიდროებლად, თანამედროვე სამშენებლო ტექნიკისა და ინდუსტრიული მეთოდების დასანერგავად.

დიდად პასუხსაგები ამოცანები დგას რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკთა წინაშე. საჭიროა მათ უმოკლეს დროში მიაღწიონ საშენი მასალების ხარისხის ამაღლებას, ცემენტის, გაჯის, კირის, ადგილობრივი საშენი მასალების გამოშვების გადიდებას, საკედლე ბლოკებით, პანელებით, ბეტონისა და რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები მშენებელთა მზარდი მოთხოვნილების შეუფერხებლად დაკმაყოფილებას.

დღეს თბილისში მუშაობას შეუდგება მშენებლების, არქიტექტორების, საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკების, საპროექტო, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების წარმომადგენელთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც, განიხილავს რა რესპუბლიკის მშენებლების მიერ გაწეული მთელი მუშაობის შედეგებს, უეჭველია შეიმუშავებს გარკვეულ ღონისძიებებს და დასახავს ამოცანებს ახალი წარმატებების მოპოვების, მიმდინარე წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების უზრუნველსაყოფად.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება წელს დეკემბრის შუა რიცხვებში მშენებლობის საკითხებზე მოიწვიოს სრულიად საკავშირო თათბირი. ჩვენი რესპუბლიკის მშენებლების, არქიტექტორების, საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკების, საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების კოლექტივთა ვალია კარგად მოემზადონ ამ მნიშვნელოვანი თათბირისათვის, ამთავითვე მიიღონ ზომები, რათა საამაყო მაჩვენებლებით წარსდგნენ ამ თათბირზე.

ლაპარაკოგენ მშენებლები

★ ★ ★

მეჯი ხელშეწყობა კომპლექსურ ბრიგადებს

კალატოზთა ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ორი წლის წინათ ქ. რუსთავის მტკვრის მარჯვენა ნაწილში პირველმა ჩაუყარა საძირკველი კაპიტალურ საცხოვრებელ სახლს. მას შემდეგ ბრიგადის მონაწილეობით უკვე 10-ზე მეტი სახლი აშენდა. ამჟამად ვმუშაობთ სამსართულიანი სახლის მშენებლობაზე, რომელსაც ბლოკებით ვამონტაჟებთ.

სამწუხაროდ, მსხვილი ბლოკებით და დიდი პანელებით მშენებლობის ამ პროგრესული მეთოდის ათვისება რუსთავში ნელი ტემპით მიმდინარეობს. არა გვაქვს ბეტონის მსხვილი ბლოკების დასამზადებელი პოლიგონი. სამშენებლო დეტალების დამზადება სწარმოებს პრიმიტული წესით, რაც ზრდის ხარჯს, იწვევს ცემენტის დანაკარგებს და მშენებლობის გაძვირებას.

მიმდინარე წლის დასაწყისში ჩვენი ბრიგადა კომპლექსური იყო. სამშენებლო სამუშაოთა კომპლექსურად შესრულების შედეგად ნაკლები რაოდენობით გვჭირდებოდა დამხმარე მუშახელი, შრომის ნაყოფიერება თანდათან მაღლდებოდა, აღიკვეთა მოცდენა, გაუმჯობესდა მშენებლობის ხარისხი და, რაც მთავარია, ბრიგადის ყველა წევრი სამუშაოთი მთლიანად იყო დატვირთული.

ბინათმშენებლობის სამმართველოს ხელმძღვანელთა უყურადღებობისა და ხელშეუწყობლობის შედეგად ახლა ჩვენი ბრიგადა აღარ არის კომპლექსური, რადგან კომპლექსურად მუშაობის პირობები მოგვისპეს საშენი მასალების მოუწოდებლობით.

რუსთავში ბინათმშენებლობის ობიექტებზე მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების პროპაგანდას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაც ფორმალური ხასიათისაა. ჩვენი ბრიგადა წლის დასაწყისიდან სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული რ. ხალიმოვის კალატოზთა ბრიგადასთან. მაგრამ შეჯიბრების შედეგების შემოწმება ჯერ არავის არ მოსვლია ფიქრად.

ა. ფიკლაური,
ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს კალატოზთა ბრიგადირი.

შენობა უმასალოდ როდი აშენდება

საითაც გაიხედავთ ვაკეში, მრავლად ჩანს ახალდამთავრებული და მშენებლობის პროცესში ყოფი სახლები. დედაქალაქის ამ კუთხეში ფართოდ არის გაჩაღებული საბინაო მშენებლობა. ერთ-ერთი მათგანია მხატვრების საცხოვრებელი სახლი, რომელიც 1954 წლის ბოლოს გადაეცა საექსპლოატაციოდ.

ახლა ორი შენობის აგებაზე ვმუშაობ. ერთია უნივერსიტეტის ქუჩაზე, მეორე — საპროექტო ქუჩაზე. ორივე საცხოვრებელი სახლია.

უნივერსიტეტის ქუჩაზე ვაშენებთ რვასართულიან შენობას. იგი ჯერ უნდა ყოფილიყო საქართველოს სსრ სართულის კედლების წყობა შეჩერებულია ტუფის უქონლობის გამო. ასეთი მდგომარეობა დიდი ხანია გრძელდება. რადგან სართულშორის გადახურვას ვაწარმოებთ ძველებურად, ამიტომ, ვიდრე კედლების ამოყვანას არ დავამთავრებთ და შენობას არ გადახურავთ, მანამ სხვა სამუშაოების დაწყება ფერხდება და ვართ ასე, თითქმის უმოქმედოდ.

ბრიგადა, რომელიც ოცი კაცისაგან შედგებოდა, თანდათან დაიშალა იმის გამო, რომ მუშები დატვირთულნი არ არიან სამუშაოთი.

ბრიგადის 20 წევრიდან ახლა შვიდი დარჩა და ისინიც სხვა მშენებლობაზე გადასვლას ფიქრობენ. თვითეული მათგანი კვალიფიციური მშენებელია — ისინი დაუფლებულნი არიან რამდენიმე პროფესიას: კალატოზობას, მებეტონეობას, მღესაობას და სხვ. აგვისტოში ამ სახლის მშენებლობაზე უნდა აეთვისებინათ 33.300 მანეთი, ნამდვილად კი მხოლოდ 25.500 მანეთი ათვისეს.

მშენებლობის ასეთ პირობებში დატოვება შეუძლებელია. როგორც მეორე სამშენებლო სამმართველოს, რომელიც ამ სახლს აშენებს, ისე ჩვენი ტრესტის ხელმძღვანელობას კარგად მოეხსენება, რომ უმასალოდ შენობა ვერ აიგება! ამიტომ მათ ყველა ზომა უნდა მიიღონ საკირო საშენი მასალებით მშენებლობის მოსამარაგებლად და ტემპის დასაჩქარებლად.

შ. გეგენავა,
პირველი საერთო სამშენებლო ტრესტის მეორე სამმართველოს ბრიგადირი.

მაგერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმე უნდა მოწესრიგდეს

რვა წელიწადია დურგლად ვმუშაობ, მეშვიდე თანრიგის ხელოსანი ვარ. ბევრი სახლის აგებაზე მიმუშავნია. ერთ ერთი უკანასკნელი იყო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც 1954 წლის ბოლოს გადაეცა საექსპლოატაციოდ.

ახლა ორი შენობის აგებაზე ვმუშაობ. ერთია უნივერსიტეტის ქუჩაზე, მეორე — საპროექტო ქუჩაზე. ორივე საცხოვრებელი სახლია.

უნივერსიტეტის ქუჩაზე ვაშენებთ რვასართულიან შენობას. იგი ჯერ უნდა ყოფილიყო საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ადმინისტრაციული სახლი, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მისი საცხოვრებელ სახლად გადაკეთების შესახებ. მას ეშენება ერთ, ორ და სამოთახიანი 58 ბინა. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის გადაკეთება, მაგრამ დროს უქმად არ ვკარგავთ, ზოგ სამუშაოს მაინც ვასრულებთ. კერძოდ, მესამე სართულზე წარმოებს სართულთშორისი გადახურვა. უკანასკნელ დღეებში მშენებლობა საკმაოდ არ მარაგდებოდა საშენი მასალებით, მაგალითად, ოთხ სიისა: კალატოზობას, მებეტონეობას, მღესაობას და სხვ. აგვისტოში ამ სახლის მშენებლობაზე უნდა აეთვისებინათ 33.300 მანეთი, ნამდვილად კი მხოლოდ 25.500 მანეთი ათვისეს.

მშენებლობის ასეთ პირობებში დატოვება შეუძლებელია. როგორც მეორე სამშენებლო სამმართველოს, რომელიც ამ სახლს აშენებს, ისე ჩვენი ტრესტის ხელმძღვანელობას კარგად მოეხსენება, რომ უმასალოდ შენობა ვერ აიგება! ამიტომ მათ ყველა ზომა უნდა მიიღონ საკირო საშენი მასალებით მშენებლობის მოსამარაგებლად და ტემპის დასაჩქარებლად.

შ. გეგენავა,
პირველი საერთო სამშენებლო ტრესტის მეორე სამმართველოს ბრიგადირი.

საჭიროა სამშენებლო ინდუსტრიის გაუმართობება

ორიოდე კვირის წინათ საბურთალოზე შევუდექით ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის ინდუსტრიული მეთოდით მშენებლობას. უკვე დავამთავრეთ პირველი სართულის ამოყვანა და დავიწყეთ მეორე სართულის კედლების წყობა.

საქართველოს სსრ საქალაქო და სახოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტის პირველი საწარმოო კომბინატი დამკმაყოფილებლად გვამარაგებს საკედლე ბლოკებით, პანელებითა და რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებით, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ერთ საცხოვრებელ სახლს ვაშენებთ საცდელად. ცხადია, თუ მშენებლობის ასეთ ინდუსტრიულ წესს ყველა საცხოვრებელი სახლის აგებაზე გამოვიყენებთ, საწარმოო კომბინატი ვერ შეძლებს გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ბლოკებს, პანელებისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების საკმაო რაოდენობით გამოშვებას.

ამიტომ მშენებლებს აუცილებლად მიგვაჩნია უწინარეს ყოვლისა გავაფართოოთ სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა ქსელი, გავაძლიეროთ მზა კონსტრუქციების დამზადება და უზრუნველვყოთ სამშენებლო დეტალების მასობრივი ტირაჟით გამოშვება.

მშენებლებს გვაქვს ზოგი რამ სასაყვედურო სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებისადმი. ისინი ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ მრავალფეროვანი, გამარტივებული საკედლე ბლოკებით ჩვენს უზრუნველყოფას, ზოგჯერ ასაწყობი კონსტრუქციების ფორმები სრულყოფილი არ არის, გვიხდება დამატებითი შრომის გაწევა.

თუ გვინდა ყველა მშენებლობაზე დავნერგოთ მსხვილი ბლოკებით, დიდი პანელებით ჩქარისნული მუშაობის მეთოდი, აუცილებლად საჭირო იქნება საქართველოს სსრ საქალაქო და სახოფლო მშენებლობის სამინისტრომ გააფართოოს და გააძლიეროს ინდუსტრიული ბაზები, ააშენოს და აამუშაოს სამშენებლო დეტალების ახალი ქარხნები.

ნ. სიხარულიძე,
სამუშაოთა მწარმოებელი.

ტყიბულჰესი ამუშავების წინ

მალე, სულ მალე ჩვენი რესპუბლიკის საჩუქრად მიიღებენ ახალ, მძლავრ ჰიდროელექტროცენტრალს — ტყიბულის ჰიდროელექტროსადგურს.

ტყიბულჰესი უძვირფასესი შენაძენია საქართველოს ენერგეტიკული მეურნეობისათვის. ძვირფასია იგი იმიტომ, რომ პირველი ხრამჰესის შემდეგ ყველაზე მძლავრია რესპუბლიკის ჰიდროელექტროსადგურებს შორის; მას შეუძლია ყოველთვის იმუშაოს სრული სიმძლავრით და დაფაროს რესპუბლიკის ენერგობალანსის ის დანაკლისი, რაც განსაკუთრებით იგრძნობა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

... იმ ადგილიდან, სადაც ელექტროსადგურის გული—საგენერატორო შენობაა, შორს, სადღაც ნაქერალის მთის გადმოღმა კალთიდან ქვემოთ ტყიბულისაკენ გიჟმაჟი ღელე მოქუხს. საშინელი ადიდება იცის ამ ღელემ — ტყიბულამ თოვლის დნობის პერიოდში და განსაკუთრებით ნაქერალზე ხშირი და ხანგრძლივი წვიმების დროს.

ნაქერალიდან ჩამოვაკებისას, ქვემოთ ვრცელი პლატოა. ამ პლატოზე შემოჭრისას დაუდეგარი ტყიბულა წინათ, სანამ მშენებლები გადაულახავ კედლად კაშხალს აღუმართავდნენ, ცოტა ხანს ზანტად მიედინებოდა და პლატოს სამხრეთით მთასთან მიახლოებისას... უცბად იკარგებოდა, უჩინარდებოდა. 7-8 კილომეტრის სავალს იქით იმავე მთის გადაღმა მხარეს, ისეთ ადგილას, რომელიც ზემოდან გადახედვისას კაცს უფსკრულად მოეჩვენება, ღელე კვლავ ამოდიოდა კლდის ძირიდან და ახალი სახელწოდებით მიედინებოდა თავისი გზით.

დამპროექტებლებს (პროექტის მთავარი ინჟინერი გ. მნაცაკანიანი) ბუნების ეს ჭირვეულობა გამოუყენებიათ და თან ანგარიშში ისიც მიუღიათ, რომ სანამ ტყიბულჰესის მშენებლობა დამთავრდებოდა, მანამ შაორჰესი უნდა ამუშავებულიყო, მდინარე შაორს გეზი საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა აეღო, მსმასადამე, შაორჰესის გადამუშავებული წყლის ხელახლა გამოყენება შეიძლებოდა. ამიტომ იმ პლატოზე, სადაც ტყიბულა უჩინარდებოდა, ქვესკნელში წყლის ჩასაძრომი ადგილები კილომეტრნახევრიანი მიწაყრილის კაშხალით განათვისეს, შეუდგნენ შაორის წყლით გაბარაქიანებული ტყიბულას შეგუებებას, მრავალი ათი მილიონი კუბმეტრის მოცულობის წყალსაცავის შექმნას.

ახლა ამ წყალსაცავში უკვე დაგროვებულია წყლის ისეთი მარაგი, რომ სავსებით შესაძლებელია ტყიბულჰესის ტურბინგენერატორებმა სრული სიმძლავრით იმუშაონ.

წყალსაცავის ერთი კუთხიდან იწყება ე. წ. სადერივაციო (წყალსავალი) გვირაბების მთელი სისტემა. ერთ ადგილას, ძნელად მისადგომ კლდოვან მთაში საჭირო გახდა 28 გრადუსით დახრილი გვირაბის გაყვანა. თავისთავად გვირაბის დახრილად გაყვანა ბევრ სირთულეს შეიცავს. საქართველოში ეს პირველი ცდა იყო და ტყიბულჰესის მშენებლებს (მშენებლობის უფროსი ვასილ ყაველაშვილი, მთავარი ინჟინერი ირაკლი მღებრიშვილი) ესახელებოდათ, რომ ჰიდროენერგომშენებლობის ისეთი მაღალი კულტურის მხარეში, როგორიც ჩვენი რესპუბლიკაა, გვირაბის დახრილად გაყვანაში პირველი სიტყვა მათ უნდა ეთქვათ, და არ იცოდნენ, თუ რამდენ გაუთვალისწინებელ სიძნელეს უმზადებდა მათ მთათა წიაღის გეოლოგიური ახირებულობა.

გახურებული მუშაობის დროს, სრულიად მოულოდნელად მთის კლდოვან გულში გვირაბმშენებლები წააწყდნენ უზარმაზარ ცარიელ ადგილს, ე. წ. კარსტულ გამოქვაბულს, რომელიც ბუნების უხილავ ხელს სტალაქტიტებით და სტალაგმიტებით მოერთო. საჭირო იყო გვირაბმშენებლებს გეზი შეეცვალათ, ითთ უმეტეს, რომ ამ გამოქვაბულში აღმოჩნდა საკმაოდ მოზრდილი მიწისქვეშა ტბა, სადაც ნიადაგქვეშა წყაროების წყალი გროვდებოდა როგორც ბუნებრივ წყალსაცავში. მაგრამ გვირაბმშენებლებისათვის გეზის შეცვლა ადვილი როდია.

...სადგურის ამუშავების ის ვადა, რომელიც მშენებლებს თავრობამ დაუწესა, ახლოვდებოდა, წყალსაცავის ავსებას შეუდგნენ, ქვემოთ საგენერატორო შენობის (რომელიც ახლა 10-სართულიანი გიგანტური სახლის ოდენაა), ლითონის ჩონჩხი გამზადებული იყო და მთელი ეს ნაშრომი გაქარწყლებული აღმოჩნდებოდა, თუ დახრილი გვირაბის ეს მონაკვეთი მზად არ იქნებოდა.

— ყველა ძალა, ყველა შესაძლებლობა გამოვიყენეთ იმისათვის, — გვიამბო მშენებლობის ტექნიკური განყოფილების გამგემ ინჟინერმა ლავრენტი ტროკაშვილმა, — რომ ეს სიძნელე დაგვეძლია, სადგურის ამუშავება დანიშნული ვადისათვის მოგვეხერხებინა. კიდევაც ავაწყეთ საქმე, შევუდექით მუშაობას ისეთი ტემპით, რომ მტერს შეშურდებოდა და მოყვარეს გაეხარდებოდა და...

სრულიად მოულოდნელად გვირაბში, სადაც ხალხი მუშაობდა, მიწისქვეშ, ქვესკნელში თავი იჩინა წყალმა, წამოვიდა ღვარად. უბედურება იყო მოსალოდნელი, მაგრამ გვირაბმშენებლებს თავზე ადგა გამოცდილი გვირაბმშენებელი, მრავალგზის ორდენოსანი ირაკლი ობოლაძე, რომლის წინდახედულობამ ხალხი და ტექნიკა გადაარჩინა.

ინჟინერი ტროკაშვილი მოგვითხრობდა, თუ რა დიდი ენერგიის, განუზომელი ენთუზიაზმისა და შრომის ფასად დაძლიეს მშენებლებმა ეს ახალი სიძნელეც და როგორ უზრუნველყვეს, მიუხედავად აუარებელი გაუთვალისწინებელი შეფერხებისა, ტყიბულჰესის მთელი კომპლექსის გაშზადება ასამუშავებლად.

ტყიბულჰესის მშენებლობაზე მრავალი მოწინავე მუშაობს, მაგრამ მათ შორის გამოირჩევიან: გვირაბმშენებლები — ირაკლი ობოლაძე, მიხეილ სერდობინცევი (იმ სერდობინცევების თაობიდან, რომლებმაც სახელი გაითქვეს ლაჯანურჰესის გვირაბების გაყვანაში), ტარასი ნოზაძე, მუხთარ ყულიევი, მელენტი რიჟამაძე, სპირიდონ დგებუაძე, პეტრე თაბაგარი, იაკობ ბესჩოტნი... კაშხალისა და წყალსაცავის სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლები — ვლადიმერ მჭედლიძე, ოთარ ბერძენიშვილი, გიორგი მაკარიძე, ვლადიმერ აბესაძე, მექექსკავატორეები ვასილ თათარიშვილი და ფილარეტ პოპოვი, მესკრეპერეები ბუდუ ჯულოხაძე, ვახტანგ წაქაძე... სამუშაოთა მწარმოებლები, მშენებელთა მეთაურები — რომან ედიბერიძე, ალექსი გვენეტაძე, მიხეილ კვირიკაშვილი, გივი თაბუკაშვილი, ვახტანგ კავთუაშვილი, ფრიდონ ჭელიძე, აკაკი უგრეხელიძე, ყოფილი სამგორელი მშენებელი ინჟინერი ვახტანგ მაჭავარიანი, ემანუილ იარალოვი და ბევრი სხვა, ყველას გვარს ვერ დაიტევს გაზეთი.

ამ სახელოვანმა ადამიანებმა ტყიბულჰესის ასამუშავებლად საჭირო ყველა ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების უკვე მოათავეს და ახლა შემორჩენილ სამუშაოებზე არიან გასული.

მოკლე ხანში ამუშავდება ტყიბულჰესი და მისი დენი მაცოცხლებელი ნექტარივით დაუვლის ფოლადის ძარღვებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მამოძრავებელ სისტემას — საქენერგოს ქსელს.

დ. ლომთაძე.

დეპეშა

სოფიიდან 1956 წლის 15 სექტემბერი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ **კ. ვოროშილოვს**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **ნ. ბულგანინს**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ **ნ. ხრუშჩოვს**

მოსკოვი

ძვირფასო მეგობრებო,

სახალხო კრების პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი უაღრესად გულწრფელ მადლობას გიძღვნიან თქვენ და თქვენი მეშვეობით მთელ საბჭოთა ხალხს გულითადი მოლოცვისათვის ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის — ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლების მე-12 წლისთავის გამო. ბულგარელი ხალხი, რომელიც სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგა და საბჭოთა კავშირთან დაკავშირებულია მიზნებისა და იდეალების ურღვევი ერთობით, განუხრელად განავითარებს და გაღრმავებს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას — მის წარმატებათა საფუძველს, აქტიურად შეუწყობს ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

მარადიული იყოს სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა!

გაუმარჯოს მშვიდობას ხალხთა შორის!

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გიორგი დამიანოვი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ანტონ იუგოვი

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
ტოდორ ჟივკოვი

ამხანაგ ა. ი. მიქოიანის სიტყვა

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით გადმოგცეთ თქვენ, სახელოვანი ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობის დელეგატებს, აგრეთვე ჩინეთის ყველა კომუნისტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გულითადი ძმური სალამი და გისურვოთ წარმატებანი თქვენი ყრილობის მუშაობაში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ ყველანი ძალიან მოხარული ვართ, რომ ვესწრებით აქ ჩინეთის მომავალ კომუნისტური პარტიის VIII ყრილობას, რომელიც აჯამებს თქვენი პარტიის ცხოვრებისა და საქმიანობის იმ პერიოდის შედეგებს, რომელიც აღსავსეა დიადი მოვლენებით და რომელმაც ძირეულად შეცვალა თქვენი დიდი ქვეყნისა და მთელი ექვსასმილიონიანი ჩინელი ხალხის მდგომარეობა.

ჩინეთის კომპარტიის VIII ყრილობა, პირველი ყრილობა ჩინეთის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, არა მარტო უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია პარტიის ცხოვრებაში, არამედ, არსებითად, იგი აჯამებს ჩინეთის განვითარების ისტორიის შედეგებს ათასობით წლების მანძილზე.

ჩინეთმა მოიცილა იმპერიალისტური უღელი, ვითარდება და მტკიცდება როგორც სავსებით დამოუკიდებელი ერთიანი სახელმწიფო. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ჩინეთი, როგორც თქვენში ამბობდნენ, იყო „ქვიშის კერძი“ და მას ნამეცობით იტაცებდნენ იმპერიალისტები. უკვე ამ ერთ შედეგს აქვს ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს. მთავარი მიღწევა კი ის არის, რომ განხორციელდა მშრომელთა სოციალური განთავისუფლება, შეიქმნა სახალხო ხელისუფლება და წარმოებს სოციალიზმის მშენებლობა. ჩინეთის კომუნისტური პარტიის მთელი პოლიტიკა შეესაბამება ხალხის საუკუნეობრივ მისწრაფებებს, ამიტომ ჩინელი ხალხიც ერთიანი მისწრაფებით, ასეთი ენთუზიაზმით დაირაზმა ჩინეთის ახალ სახელმწიფოში თავისი მთავრობისა და კომუნისტური პარტიის გარშემო, რომელიც მეთაურობს მძლავრ მოძრაობას სოციალიზმის გამარჯვებისათვის თქვენს დიდ ქვეყანაში.

ამხანაგებო! ჩინეთის გმირი კომუნისტური პარტია 35 წლის მანძილზე შეუპოვრად იბრძოდა იმისათვის, რომ ჩინეთში გაემარჯვა ახალ საზოგადოებრივ წყობილებას. ჩინეთში ისტორიული ვითარება იმგვარად ჩამოყალიბდა, რომ ჩინელ კომუნისტებს ორ ათეულ წელზე მეტი მოუხდათ იარაღით ხელში ებრძოლათ თავისი ხალხის უკეთესი მომავლისათვის. ჩინელი კომუნისტები ვერ გატეხა ვერც ტერორმა და დევნამ, ვერც ომის წლების მძიმე მსხვერპლმა და გაჭირვებამ, ვერც წარუმატებლობამ, რომელიც ხვდებოდათ მათ გზაზე, ვერც მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდის სიძნელეებმა.

ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი და ყველა ქვეყნის მშრომელნი მუდამ დიდად აფასებდნენ და კვლავაც დააფასებენ ჩინეთის კომუნისტური პარტიის თავდადებულ მამაცობასა და სიმტკიცეს. ჩვენ თავს ვხრით მრავალრიცხოვანი მსხვერპლის წინაშე, რომელიც ჩინელმა კომუნისტებმა გაიღეს თავიანთი ხალხის ბედნიერებისა და აყვავებისათვის.

ამხანაგებო!

სოციალიზმის ჩვენი საერთო დიადი გამარჯვებისათვის ბრძოლა დიდი ხანია დაიწყო. ამ ბრძოლის მსვლელობაში ჩამოყალიბდა სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები, ყალიბდებოდნენ და იწრთობოდნენ რევოლუციური მარქსისტული პარტიები.

ჯერ კიდევ სამი მეოთხედი საუკუნის წინათ მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ „რუსეთი წარმოადგენს ევროპაში რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმს“, ისინი არაერთგზის აღნიშნავდნენ ხაზგასმით, რომ „ბიძგი“ ყველაზე ადრე მოვა რუსეთიდან და რომ „ეს იქნება უახლოესი მობრუნების პუნქტი მსოფლიო ისტორიაში“.

ლენინი თავის თვალსაჩინო წიგნში „რა ვაკეთოთ?“ წერდა, რომ ისტორიამ ჩვენს წინაშე დასახა უახლოესი ამოცანა, რომელიც ყველაზე რევოლუციურია რომელიც გნებავთ სხვა ქვეყნის პროლეტარიატის ყველა უახლოესი ამოცანიდან — არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე აზიის რეაქციის ყველაზე მძლავრი დასაყრდენის დანგრევა, რაც რუსეთის პროლეტარიატს გახდიდა საერთაშორისო რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდად.

მაშინვე, 54 წლის წინათ, კაუცკიმ, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ მარქსისტი იყო, ლენინურ „ისკრაში“ გამოგზავნა სტატია, სადაც წერდა: „ახალი საუკუნე იწყება ისეთი მოვლენებით, რომლებიც გვაფიქრებინებენ, რომ ჩვენ ვნახავთ რევოლუციური ცენტრის შემდგომ გადაადგილებას, სახელდობრ: ნის რუსეთში გადაადგილებას“.

მარქსისტთა ეს მტკიცება წინასწარმეტყველურად სწორი აღმოჩნდა.

1905 წელს რუსეთის პირველმა რევოლუციამ დიდად აამოძრავა რუსეთის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება და დიდი გავლენა მოახდინა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე სხვა ქვეყნებში, კერძოდ აღმოსავლეთის ქვეყნებში.

1913 წელს, აჯამებდა რა მარქსის გარდაცვალების შემდეგ რევოლუციური მოძრაობის განვითარების შედეგებს, ლენინი წერდა:

„...აზიაში უდიდესი მსოფლიო ქარტეხილების ახალი წყარო გაიხსნა. რუსეთის რევოლუციას მოჰყვა თურქეთის, სპარსეთის, ჩინეთის რევოლუცია. ახლა ჩვენ სწორედ ამ ქარტეხილებისა და ევროპაზე მათი „უკუფენის“ ეპოქაში ვცხოვრობთ“ (ტ. 18, გვ. 708).

რუსი კომუნისტები უკვე მაშინ ძმური სიმპათიით ადევნებდნენ თვალყურს ჩინეთის რევოლუციური ხალხის წარმატებებს, ესმოდათ მისი ბრძოლის მსოფლიო მნიშვნელობა, მიესალმებოდნენ მის პირველ წარმატებებს და გამოხატავდნენ თავიანთ მხარდაჭერას. ბოლშევიკების პარტიის პრაღის კონფერენციამ 1912 წლის იანვარში ეს გრძნობები გამოხატა ვ. ი. ლენინის მიერ სპეციალურად დაწერილ რეზოლუციაში „ჩინეთის რევოლუციის შესახებ“.

1917 წლის თებერვალში მოხდა რუსეთის მეორე რევოლუცია, რომელმაც ბოლო მოუღო თვითმპყრობელობას და დაამყარა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის წყობილება და ასპარეზი გაწმინდა პროლეტარული სოციალისტური რევოლუციისათვის საბრძოლველად.

1917 წელს გამარჯვება დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მიჯნა დაუდო ადამიანთა საზოგადოების „წინაისტორიას“ და საფუძველი ჩაუყარა კაცობრიობის ახალ, ნამდვილ ისტორიას, ახალი ძალა მისცა მეცნიერული კომუნიზმის იდეებს.

ოქტომბრის რევოლუციამ დაანახვა ყველა ქვეყნის ჩაგრულ ხალხებს, რომ ეშმაკთა კლასისათვის გლეხობასთან კავშირში პრაქტიკულად შესაძლებელია მიაღწიოს მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს, ბოლო მოუღოს მშრომელთა ყოველგვარ კლასობრივ ჩაგვრას. მან ხალხის მასები შეაიარაღა ცოდნითა და გამოცდილებით, უნარითა და რწმენით სოციალიზმისათვის ბრძოლაში, არა მარტო განთავისუფლებამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყნის ხალხები, არამედ აგრეთვე აამოძრავა სხვა ქვეყნების ხალხები თავიანთი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

ახალი აღმავლობა განიცადა ამ პერიოდში ჩინეთის რევოლუციამაც. ჩინელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობა იკისრა ჩინეთის მუშათა კლასმა. 1921 წელს შეიქმნა ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა ხალხის მასების რევოლუციურ მოძრაობას და ახალი ხასიათი მისცა მას.

აფასებდა რა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მნიშვნელობას ჩინეთში რევოლუციური მოძრაობისათვის, ამბ. მაო ძე-დუნი წერდა: „ოქტომბრის რევოლუციის ქვემეხების ზალპებმა ჩვენამდე მოიტანეს მარქსიზმ-ლენინიზმი. ოქტომბრის რევოლუცია დაეხმარა მსოფლიოს და ჩინეთის პროგრესულ ელემენტებს გამოეყენებინათ პროლეტარული მსოფლმხედველობა ჩინეთის ბედის განსაზღვრისა და თავიანთი საკუთარი პრობლემების გადასინჯვისათვის. ვიაროთ რუსების გზით — ასეთი იყო დასკვნა“.

და, როგორც ხედავთ, გავიდა 40 წელზე ნაკლები, ისტორიისათვის ასეთი მოკლე ვადა, ხოლო სოციალიზმი არა მარტო დამკვიდრდა, როგორც მძლავრი ძალა საბჭოთა კავშირში, არამედ წარმოიშვა და განმტკიცდა სოციალისტური სახელმწიფოების მთელი სისტემა. ოქტომბრის რევოლუციის გზით წავიდა და გამარჯვებამდე მივიდა ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყანა და მათ შორის ისეთი დიდი ხალხი, როგორიც ჩინელი ხალხია, დიდი როგორც თავისი მოსახლეობის რიცხვით, ისე თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, ახლა კი რევოლუციური ტრადიციებითაც. ტყუილად კი არ ლაპარაკობდა ჩვენი საერთო მასწავლებელი ლენინი ჩინელ ხალხზე როგორც ნამდვილად დიდ ხალხზე, რომელსაც უნარი შესწევს „არა მარტო ოცნებობდეს თავისუფლებასა და თანასწორობაზე, არამედ კიდევაც **ებრძოდეს** ჩინეთის საუკუნეობრივ მჩაგვრელებს“ (ტ. 18, გვ. 188).

ახლა მეცნიერული კომუნიზმის მარქსისტულ-ლენინური თეორია მტკიცედ განხორციელდა საბჭოთა კავშირში, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში და ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიც ჩინეთია.

ახალ ისტორიულ ვითარებაში, ჰიტლერული გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის განადგურების შემდეგ, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, უნარიანად ახამებდა რა ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური რევოლუციის ამოცანებს პროლეტარიატის სოციალისტურ მოძრაობასთან კაპიტალიზმის დამხობისათვის, უზრუნველყო ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება და ხალხის დემოკრატიული დიქტატურის დამყარება, რომელიც პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი ფორმაა და იბრძვის სოციალიზმის გამარჯვებისათვის ჩინეთში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალიზმის ძალების გაზრდილმა ძლიერებამ ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები შექმნა ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებისათვის. ჩინეთის სახალხო რევოლუციისა და სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებულმა მძლავრმა ძალებმა თავიდან აიცილეს იმპერიალისტური ინტერვენციის შესაძლებლობა ჩინეთის რევოლუციის წინააღმდეგ მისი გამარჯვების შემდეგ.

ჩვენთვის, საბჭოთა კომუნისტებისათვის, განსაკუთრებით სასიამოვნოა ვხედავდეთ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შესანიშნავ გამარჯვებებს ჩინეთის ნიადაგზე. ჩინეთში სახალხო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ უკვე პირველ წლებში დამთავრდა დემოკრატიული გარდაქმნები, რომლებიც, ზუსტად რომ ვთქვათ, ბურჟუაზიული რევოლუციის ამოცანებს ეკუთვნის, მაგრამ ჩინეთის ბურჟუაზია ჩვენს დროში უკვე უუნარო აღმოჩნდა განხორციელებინა ისინი, და ეს ისტორიული მისია თავის თავზე აიღო და შეასრულა ჩინეთის მუშათა კლასმა გლეხობასთან კავშირით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ მოკლე პერიოდში, წარმატებითი დემოკრატიული მონაპოვრების ბაზაზე ჩინეთში, ჩინელი ხალხი, თავისი ნაცადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შეუდგა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას.

რევოლუციამ გაავლიძა ნიჭიერი და შრომისმოყვარე ჩინელი ხალხის უდიდესი შემოქმედებითი ძალები და ენერგია. მუშების, გლეხების, სახალხო ინტელიგენციის, მთელი ჩინელი ხალხის თავდადებული შრომისა და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სწორი ხელმძღვანელობის მეოხებით მოკლე ვადაში აღმოიფხვრა ეკონომიური ნგრევა და უკვე 1952 წელს ძირითადად დამთავრდა სახალხო მეურნეობის აღდგენა.

მრავალეროვანი ჩინელი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი რევოლუციური გადატრიალება იყო აგრარული რეფორმა, რომელმაც ბოლო მოუღო მემამულეთა მიერ გლეხების ექსპლოატაციას და მიწა მისცა 300 მილიონ უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხს.

ხელმძღვანელობდა რა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით, ეყრდნობოდა რა საბჭოთა კავშირის გამოცდილებას და ითვალისწინებდა ყველა სოციალისტური ქვეყნის გამოცდილებას, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავა გენერალური ხაზი სოციალიზმზე ჩინეთის გარდამავალი პერიოდისათვის. პარტიის გენერალური ხაზის ცენტრალური რგოლია ჩინეთის ინდუსტრიალიზაცია, მისი გადაქცევა მძლავრ ინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ჩინეთის გარდაქმნის ამ დიადმა პროგრამამ ჩინელი ხალხი აღაფრთოვანა ახალი საგმირო საქმეებისათვის და კიდევ უფრო დარაზმა იგი კომუნისტური პარტიის გარშემო. ამხანაგ მაო ძე-დუნის შესაფერ სიტყვაში ყრილობის გახსნისას, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, რომელიც ამხანაგმა ლიუ შაო-ციმ გააკეთა, ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის მოხსენებაში სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის თაობაზე წრიადადებათა შესახებ, ამხანაგ დენ სიაო-პინის მოხსენებაში პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ მაღალ მარქსისტულ-ლენინურ იდეურ დონეზეა დასმული და გაშუქებული თეორიისა და პოლიტიკის, პარტიის საქმიანობის, სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საკითხები.

როგორც ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, ყველა ჩვენგანის სასიხარულოდ, საკითხი „ვინ-ვის“ ჩინეთში გადაწყვეტილია სოციალიზმის სასარგებლოდ.

თქვენი ყრილობა დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ სოციალისტურმა რევოლუციამ ჩინეთში უკვე მოიპოვა თვალსაჩინო წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა გადამწყვეტ უბანზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი, 1953-57 წლების, ხუთწლიანი გეგმა წარმატებით სრულდება და ძირითადად შეიძლება დამთავრდეს ვადამდე.

ჩინელი ხალხი თავისი სახელოვანი კომუნისტური პარტიის მეთაურობით, ახორციელებს რა ახლანდელ ამოცანებს, შორს იხედება წინ, სახავს თავის გეგმებში თავისი სამშობლოს განვითარების კიდევ უფრო დიად პერსპექტივებს.

მუშათა კლასი, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ ულოცავს ჩინეთის გმირ მუშათა კლასს და მთელ მშრომელ ხალხს მიღწეულ გამარჯვებებს და ახალ დიდ წარმატებებს უსურვებს ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საქმეში. **(მქუხარე ტაში).**

თანმიმდევრულად ახორციელებენ რა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, გამოჩენილმა მარქსისტ-ლენინელმა ამხანაგმა მაო ძე-დუნმა თავიანთი თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში. დამკვიდრდა რა ჩინეთში, მარქსიზმ-ლენინიზმი აქაც გახდა მძლავრი, უძლეველი ძალა, რომელმაც მილიონობით და მილიონობით ჩინელი მშრომელის გული დაიპყრო. **(ტაში).** ამით საბოლოოდ გაქარწყლებულ იქნა და თვით ცხოვრებამ გააბათილა ჩვენი საქმის მტრების, ოპორტუნისტების ინსინუაციები, თითქოს მარქსიზმ-ლენინიზმი გამოსადეგია რუსეთისათვის, მაგრამ გამოსადეგი არ არის სხვა ქვეყნებისათვის, ანდა გამოსადეგია ევროპისათვის, მაგრამ გამოსადეგი არ არის აზიისათვის.

სწორედ იმიტომ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის ძირითადი ძალები და ძირითადი ფორმები რუსეთში იგივე იყო, რაც კაპიტალისტური სამყაროს ყოველ ქვეყანაში, საბჭოთა კავშირის — იმ პირველი ქვეყნის გამოცდილებას, რომელმაც სოციალიზმის გზა გაკაფა, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მიენიჭა.

უეჭველია, თვითეულ ქვეყანას აქვს თავისი თავისებურებანი და შეაქვს თავისებურება სოციალიზმზე გადასვლის განხორციელებაში. მაგრამ, როგორც ლენინი აღნიშნავდა, „ეს თავისებურებანი შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ არა ყველაზე მთავარს“ (ტ. 30, გვ. 110). მარქსიზმი დოგმა კი არ არის, არამედ ცოცხალი მოძღვრებაა, რომელიც კაცობრიობის ისტორიის განვითარების მსვლელობაში მოწმდება ცალკეულ ნაწილებში, ივსება, მდიდრდება და ვითარდება მუშათა კლასისა და მისი პარტიის ბრძოლის გამოცდილებით.

მეცნიერული სოციალიზმის თეორია სწორედ იმით არის ძლიერი, რომ როგორც დიდი ქვეყნების, ისე პატარა ქვეყნების თვითეული მარქსისტულ-ლენინური პარტია მუშაობს მის განვითარებაზე, თვითეულ მათგანს თავის შესაძლებლობათა სრული ძალით უნდა შეჰქონდეს თავისი წვლილი როგორც საკუთარი გამოცდილების, ისე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოცდილების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის სავალდებულო მოვალეობად მიაჩნია არა მარტო გაუზიაროს თავისი გამოცდილება, არამედ ამასთანავე თვითონაც გადაიღოს თავისთვის ყოველივე სასარგებლო მომქმე პარტიების გამოცდილებიდან.

ჩვენი მიზნების ერთობა მოითხოვს, რომ კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა ისწავლონ ერთიმეორისაგან, განამტკიცონ კავშირურთიერთობა და გამოცდილების გაზიარება.

ჩინეთის კომუნისტური პარტია, ზრდის რა თავისი პარტიის წევრებს მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, ამავე დროს იჩენს ღრმა შემოქმედებითს მიდგომას ყველა იმ ამოცანის გადაჭრისადმი, რომლებიც იდგა და დგას ჩინელი ხალხის წინაშე.

ჩინელი ამხანაგი კომუნისტები, ხელმძღვანელობენ რა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირეული დებულებებით, შემოქმედებითად იყენებენ მას ჩინეთის კონკრეტულ პირობებში, უნარი აქვთ გამონახონ თავიანთი განსაკუთრებული, ჩინეთის სინამდვილისათვის ყველაზე უფრო შესაფერი, ახალი ფორმები და მეთოდები სოციალიზმის მშენებლობაში, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც თუმცა არ ყოფილა გამოცდილი სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩინეთის ნიადაგზე მდიდარი ნაყოფი გამოიღო.

ამის კანონზომიერებას ხაზს უსვამდა ჯერ კიდევ ლენინი ერთ-ერთ თავის ყველაზე უკანასკნელ ნაშრომში, სადაც აღნიშნავდა, რომ შემდგომი რევოლუციები განუზომლად უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის და განუზომლად უფრო მრავალფეროვანი სოციალური პირობების მქონე აღმოსავლეთის ქვეყნებში, უეჭველია, მეტ თავისებურებას მოგვივლენენ, ვიდრე რუსეთის რევოლუცია.

ჩინეთის გამრეკილებით ცხოვრებამ დაადასტურა ლენინის ეს გამჭრიახი ვარაუდიც. კერძოდ, უნდა ითქვას ჩინელი კომუნისტების იმ გამოცდილებაზე, რომ მათ გამონახეს ფორმები და მეთოდები ეროვნული კაპიტალისტური საწარმოების სოციალისტურ საწარმოებად თანდათანობით გარდაქმნისა სახელმწიფო კაპიტალიზმის ეტაპის გავლით.

დიდმა ლენინმა, განსაზღვრავდა რა ხუთ ეკონომიურ წყობას, რაც რუსეთში იყო გარდამავალ პერიოდში, დაასახელა სახელმწიფო კაპიტალიზმიც. ლენინს მხედველობაში ჰქონდა, რომ სოციალისტურ საწარმოებთან ერთად იარსებებენ სახელმწიფო კაპიტალისტური საწარმოებიც. იგი მაშინ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ წყობას, თავის შრომებსა და გამოსვლებში არაერთხელ აღუძრავს და დაუმუშავებია ეს საკითხები.

მაგრამ იმ ისტორიულ ვითარებაში სახელმწიფო კაპიტალისტური საწარმოები საბჭოთა კავშირში რამდენადმე შესამჩნევად არ განვითარებულა პრაქტიკულად და არ შეუსრულებიათ რაიმე სერიოზული როლი გარდამავალ პერიოდის ჩვენს ეკონომიკაში. ეს შეიძლება აეხსნათ იმით, რომ რუსეთის ბურჟუაზია იმდენად გადახლართული იყო იმპერიალისტურ კონცერნებთან და ტრესტებთან ევროპაში, რუსეთის იმპერიალისტური ბურჟუაზია იმდენად შეუსისხლხორცდა დასავლეთ ევროპასას, რომ მან არ მოისურვა შერიგებოდა რევოლუციის ფაქტს, „იყო უცხოეთის ინტერვენციის დასაყრდენი, იარაღით ხელში გამრდილიყო რევოლუციის წინააღმდეგ, ამაოდ იმედოვნებდა რა, რომ რევოლუცია რუსეთში ჩაიშლებოდა. რუსეთის კაპიტალისტებს დაუჯერებლად მიაჩნდათ, რომ მუშათა კლასი შეძლებდა გამარჯვებას, შეინარჩუნებდა ძალაუფლებას და თავისი ძალებით განავითარებდა ქვეყანას.

ჩინეთში კი სხვა, ახალ ისტორიულ პირობებში ამ აზრით დამყარდა უფრო ხელსაყრელი ვითარება. კომპრადორული ბურჟუაზია, რომელიც ჩინეთის მთელი ბურჟუაზიის მცირე ნაწილს შეადგენდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული უცხოეთის იმპერიალისტურ წრეებთან, კონტრრევოლუციის ბანაკში აღმოჩნდა, ხოლო მისი საკუთრება ნაციონალიზებულ იქნა და ამან შეადგინა სოციალისტური ურთიერთობის თავდაპირველი ეკონომიური საფუძველი.

ეროვნული ბურჟუაზიის მნიშვნელოვანმა ნაწილმა კი მხარი დაუჭირა ჩინეთის რევოლუციას, პატრიოტულად იყო განწყობილი იმპერიალისტური ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში. ეს დაკავშირებულია ჩინეთის რევოლუციის ანტიიმპერიალისტურ ხასიათთან. იმპერიალიზმი ლახავდა ჩინეთის ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს. ამიტომ იგი ხელს უწყობდა იმპერიალიზმის დამარცხებას ან ერთი მისი ნაწილი იცავდა ნეიტრალიტეტს. ამასთან მისი ეკონომიური და სოციალური ბაზა რუსეთის ბურჟუაზიისაგან განსხვავებით მნიშვნელოვნად უფრო სუსტი იყო. მას არ შეეძლო აგრეთვე არ გაეთვალისწინებინა ბურჟუაზიისათვის მწარე გამოცდილება რუსეთის რევოლუციისა, ისევე როგორც ის დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ჩინეთი სახალხო დემოკრატიის ქმნადობის პერიოდში უკვე აღარ იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ძველი წყობილება დაამხო. სწორედ ყოველივე ამით აიხსნება ჩინეთის ეროვნული ბურჟუაზიის ქცევა, რომელმაც, რაკი დარწმუნდა, რომ ხალხის დიდი უმრავლესობა მტკიცედ უჭერს მხარს ახალ ხელისუფლებას, თავისთვის უფრო შესაფერისად ცნო არ დასდგომოდა შეჯახების გზას, არამედ ემუშავნა სახალხო სახელმწიფოს კონტროლით. ამრიგად, ეროვნულ ბურჟუაზიასთან მუშათა კლასის ბლოკი, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციის გამარჯვებამდე დამყარდა, შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნა გარდამავალ პერიოდში ერთიანი სახალხო ფრონტის ფარგლებში, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის საფუძველზე, რომელსაც მუშათა კლასი და მისი კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობენ.

კერძო კაპიტალისტური საწარმოების სახელმწიფო კაპიტალისტურ საწარმოებად გარდაქმნის თავისებური მეთოდები, რომლებიც გამოყენებულა ჩინეთში, იმ პირობებში, როცა მტკიცდება და იზრდება მრეწველობის სოციალისტური სექტორი, კლასობრივ ბრძოლას ქალაქში ანიჭებენ ახალ ფორმებს, რომლებიც ყველაზე ხელსაყრელია პროლეტარიატისათვის, არსებითად აადვილებენ სოციალიზმის მატერიალური ბაზის მშენებლობას. და, რა ნათლად ადასტურებს ჩინეთის გამოცდილება, თეორიული და პრაქტიკული აზრითაც ძვირფასი ეს გამოცდილება ლენინის დასკვნას, რომ „კომუნიზმზე გადასვლა შესაძლებელია სახელმწიფო კაპიტალიზმის გზითაც, თუ სახელმწიფოში ძალაუფლება ხელთ უპყრია მუშათა კლასს“, იმ დასკვნას, რომ „დიდი ხარკის გადახდა სახელმწიფო კაპიტალიზმისათვის არათუ არ დაგვღუპავს, არამედ უაღრესად საიმედო გზით წაგვიყვანს სოციალიზმისაკენ!“.

ჩინეთის მრავალმილიონიანი სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის გრანდიოზულ მუშაობასა და მოღწეულ წარმატებებს ისტორიული მნიშვნელობა აქვთ ჯერ კიდევ სუსტი სამრეწველო განვითარების პირობებში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ჩამორჩენილობის პირობებში, აგრარული ჭარბმოსახლეობის პირობებში, რაც მემკვიდრეობით მიღებულია ძველი რეჟიმისაგან. ქალაქი, სადაც სულ უფრო მტკიცდება სოციალისტური ინდუსტრია, ამ გზით მიუძღვის სოფელს.

ჩვენი პარტია შეიარაღებული იყო ლენინური კოოპერაციული გეგმით, სოფლის სოციალისტური გარდაქმნის გეგმით. ამ გეგმის განხორციელების დროს ჩვენ ბევრი სიძნელე გადავლახეთ, ჩვენ წინ მიგდიოდით უკვლევი გზებით, მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენ გვიხდებოდა მუშაობის ერთი ფორმიდან მეორე ფორმაზე გადავსულიყავით, გზადაგზა გამოგვესწორებინა ჩვენი შეცდომები, გვეძებნა ახალი, უკეთესი გზები.

საჭირო არ არის ვამტკიცოთ, რომ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანა კიდევ უფრო რთულია ჩინეთისათვის, მაგრამ ჩინელ ამხანაგებს შეუძლიათ გამოიყენონ დადებითი საბჭოთა გამოცდილება და თავიდან აიცილონ ზოგიერთი ჩვენი შეცდომა, უფრო ადვილად გადალახონ ზოგიერთი სიძნელე. ჩინელმა კომუნისტებმა შესანიშნავი უნარი, გამბედაობა და ორგანიზატორული ნიჭი გამოიჩინეს, გაიყოლიეს მილიონობით გლეხი სოციალიზმისაკენ, გლეხთა მეურნეობანი გააერთიანეს ნახევრადსოციალისტურ და სოციალისტურ კოოპერატივებად. ჩინეთის გამოცდილება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ლენინური კოოპერაციული გეგმა წვრილსაქონლური გლეხური წარმოების გადაყვანისა სოციალიზმის რელსებზე შეიძლება განხორციელდეს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ამასთანავე ისეთ უზარმაზარ, თავისებურ ქვეყანაში, როგორიც არის ჩინეთი, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყანაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩინელი კომუნისტები, რომლებმაც მიზნად დაისახეს სოფელში სოციალური ურთიერთობის ძირეულად გარდაქმნა, იყენებენ თავიანთ ტაქტიკას, თავის მიდგომას, რომელიც კვლავ და კვლავ ადგილობრივი პირობების ზედმიწევნით შესწავლიდან გამომდინარეობს, ამასთან იჩენენ მოქნილობას, უზრუნველყოფენ კულაკთა და მემამულეთა დიფერენციაციას იმის მიხედვით, თუ როგორ ეკიდებიან ისინი სოფლად სოციალისტურ გარდაქმნას. ცუდია ეს თუ არა? ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, ძალიან კარგია. უნდა ითქვას, რომ გარკვეული პირობებისათვის ამგვარ შესაძლებლობებს თავის დროზე ლენინიც ითვალისწინებდა თავის თეზისებში აგრარული საკითხის შესახებ.

ამხანაგებო! იცავდა რა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდეს თავის აშკარა და ფარულ მტრებთან ბრძოლაში, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ შეძლო ჭეშმარიტად ოსტატურად გამოეყენებინა მარქსიზმ-ლენინიზმი ჩინეთის თავისებურ პირობებში, რაც მისი გამარჯვების უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა ჩინეთის გარდამქმნელ დიად სახალხო რევოლუციაში.

მტრები კი ჩინელ ხალხს ჯერ კიდევ ბევრი ჰყავს როგორც საზღვარგარეთ, ისე მისი ტერიტორიის დროებით ოკუპირებულ ნაწილში — კუნძულ ტაივანზე, რომელიც მასაზრდოებელი ნიადაგია ახალი წყობილების მტრებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩენილან კონტინენტზე, მტრებისათვის, რომლებიც ახლა მეტწილად ფარული არიან და რომლებსაც გარსი გამოუცვლიათ. ამ მტრებს ჩინეთში სიტყვამოსწრებულად უწოდებენ ბოლოკს — (გარედან წითელი, შიგნით კი თეთრი.). **(სიცილი დარბაზში).** ამიტომ თქვენი ყრილობა სწორად მოიქცა, როცა პარტიასა და ხალხს მოაგონა, რომ საჭიროა სიფხიზლე, ხალხის მონაპოვართა ფხიზლად დაცვა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს დიდ კმაყოფილებას იწვევს ჩინელი კომუნისტების წარმატებანი, რასაც მიაღწიეს იმ საქმეში, რომ კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის გარშემო დარაზმეს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შუა არსებული სოციალური ფენები საზოგადოებისა არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქშიც, კმაყოფილებას იწვევს ის მუშაობა, რომელიც განახორციელეს მათ, რათა მიემხროთ და ხელახლა აღეზარდათ ამ წრის საუკეთესო ადამიანები, ჩაებათ ისინი სოციალისტური მშენებლობის პროცესში, აგრეთვე განეხორციელებინათ დემოკრატიულ პარტიებთან ბლოკის პოლიტიკა, რაც ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შესაძლებლობას აძლევს ახალი წარმატებანი მოიპოვოს რევოლუციაში, მინიმუმამდე შეამციროს სიძნელენი თანამედროვე პირობებში.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის ხალხები უდიდესი აღფრთოვანებით ადევნებენ თვალს ჩინელი ხალხის თვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ა. ი. მიქოიანის სიტყვა

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობაზე

(დასასრული)

ბიც გამოსტატა მან ჩინეთის მებრძოლი ალხისადმი. „ორივე ხალხი, ჩინელი და რუსი ხალხები, — წერდა ამ დეპეშაში სუნ იატ-სენი, — თავისუფლებისა და სამართლიანობის გზით ერთად მიმავალი უნდა მუშაობდეს“.

ჩვენ საბჭოთა კავშირში ერთ დროს მუშაობდით მტრულ იზოლაციაში, ალყაში, ვმუშაობდით სამინელ დაბრკოლებათა პირობებში. საბჭოთა ხალხი იძულებული იყო ბევრი რამ დაეთმო და ბევრი მსხვერპლი გაეღო უკვე ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. ოქვენ კი აშენებთ საბჭოთა კავშირთან და სოციალიზმის სხვა ქვეყნებთან ძმური თანამშრომლობის პირობებში.

ძმური თანამშრომლობა ტექნიკის, მეცნიერების, კულტურის დარგში ჩინელ ხალხს ათავისუფლებს იმის საჭიროებისაგან, რომ გაიაროს ყველა მოძველებული საფეხური და შესაძლებლობას აძლევს მოახდინოს ნახტომი, რევოლუციური გადასვლა ტექნიკური ჩამორჩენილობიდან ყველაზე ბოლო თანამედროვე დონისაკენ, თანამედროვე საზოგადოების მეცნიერებისა და ტექნიკის მწვერვალებისაკენ.

ჩინეთში უკვე მუშაობს ან შენდება ისეთი შესანიშნავი ინდუსტრიული საწარმოები, რომლებსაც ტექნიკის დონითა და საქმის დაყენებით შეუძლიათ ეტოქეობა გაუწიონ ევროპისა და ამერიკის ძველი, განვითარებული ქვეყნების საწარმოებს.

ეს თქვენ შესაძლებლობას გაძლევთ ასაცილოდ აიგდოთ თავხედი იმპერიალისტი მესვეურები, რომლებსაც ჩინეთის სახალხო რევოლუციის წინააღმდეგ ყოველგვარი სანქციის გამოყენებით, სხვადასხვა ემბარგოთი და სხვა საშუალებებით სურთ დაგიჩოქონ, შეაფერხონ თქვენი განვითარება. მაგრამ ამერიკის ბურჟუაზიამ თქვენ კი არა, თავისი თავი დასაჯა, როცა დაკარგა ჩინეთის ბაზრები თავისი მრეწველობისათვის. ეს უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ბევრს ესმის, ბევრი კი ყველა მიხვდება.

ძვირფასო მეგობრებო და ძმებო! ახლა ყველა ხედავს, თუ რა დიადი საქმეა საბჭოთა კავშირის, სახალხო ჩინეთისა და ყველა სოციალისტური ქვეყნის თავისუფალ ხალხთა ძმური მეგობრობა.

და სწორედ აქ მართებული იქნება გავიხსენოთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გენიალური განჭვრეტა, როცა მან თავის ცნობილ სტატიაში „უმჯობესია ცოტა და კარგი“ (1923 წელი) თქვა:

„ბრძოლის შედეგი, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია იმაზე, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ. შეადგენენ მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას. და სწორედ მოსახლეობის ეს უმრავლესობა უკანასკნელ წლებში არაჩვეულებრივი სისწრაფით ებმება ბრძოლაში თავის განთავისუფლებისათვის, ასე რომ ამ მხრივ არავითარ ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, თუ როგორ გადაწყდება საბოლოოდ მსოფლიო ბრძოლა. ამ აზრით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სავსებით და უცილობლად უზრუნველყოფილია“. (თხზ., ტ. 33, გვ. 592). (ტაში).

ამხანაგებო, ჩვენ ახალ ისტორიულ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია სოციალიზმის მძლავრი მსოფლიო სისტემის არსებობა. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება კიდევ ერთ ახალ და მეტად დიდ მოვლენას მსოფლიო საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აღმოსავლეთი — კაცობრიობის კულტურის აკვანი, რაიონი, სადაც თავმოყრილია მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი, — ახლა განიცდის თავისი ისტორიის გარდატეხის პერიოდს. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აღმოსავლეთის ქვეყნების მილიარდნახევრამდე ადამიანმა დაამხო კოლონიალიზმის სამარცხვინო ბატონობა. ეჭვი არ არის, რომ ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ იტანჯებიან კოლონიალიზმის უღელქვეშ, ახლო მომავალში მოიშორებენ მას. (ტაში).

საზიანოდ უნდა მივიჩნიოთ, როცა ზოგჯერ ერთ ფრჩხილში ათავსებენ ყველა ქვეყანას, რომლებიც არ შედიან სოციალისტურ სისტემაში, და მექანიკურად შეჰყავთ ისინი კაპიტალიზმის ერთიან ბანაკში. თუმცა ნამდვილად ყველა ამ ქვეყანაში ბატონობს ან ჭარბობს წარმოებითი ურთიერთობის კაპიტალისტური სისტემა, მაგრამ არ შეიძლება უგულებელყოთ ის ფაქტი, რომ თვით კაპიტალიზმის სამყარო არსებითად სულაც არ არის ერთგვაროვანი.

ერთი მხრივ, — ესენი არიან იმპერიალისტური სახელმწიფოები განვითარებული ეკონომიკით, გამდიდრებულნი სხვა ხალხების, განსაკუთრებით კოლონიური ხალხების ექსპლოატაციით, მაგრამ რომლებსაც ყოველდღე ეცლებათ ფეხქვეშ ნიადაგი მთელ მსოფლიოში. მეორე მხრივ, — ესენი არიან ქვეყნები, რომლებსაც, ჩვეულებრივ ეწოდებათ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ან არასაკმაოდ განვითარებული ქვეყნები. ამ ქვეყნებს შორის ბევრმა მხოლოდ ახლახან მიაღწია პოლიტიკურ განთავისუფლებას კოლონიური ჩაგვრისაგან.

აზიისა და აფრიკის სახელმწიფოები, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს და განთავისუფლდნენ დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების ბატონობისაგან, ეძებენ ახალ დამოუკიდებელ გზებს, რომლებიც შეესაბამება მათი ისტორიული და ეროვნული განვითარების თავისებურებებს. ამ ქვეყნების ხალხებს არა სურთ XX საუკუნეში გაიმეორონ ის გზა, რომელიც გაიარეს კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებმა რამდენიმე საუკუნის წინათ, გზა, რომელიც დაკავშირებულია მშრომელი ხალხის დაუზოგავ ექსპლოატაციასთან, სიღატაკესთან, შიმშილთან, ომებთან, არა სურთ, რადგან მათ თავიანთი საკუთარი მწარე კოლონიური გამოცდილებით უკვე შეიგნეს, თუ რა მოაქვს ხალხისათვის კაპიტალიზმს.

პროგრესის მომხრეებს ამ ქვეყნებში არა სურთ, რომ მათმა ქვეყნებმა გაიაროონ კაპიტალიზმის განვითარების ყველა მტანჯველი ეტაპი, არა სურთ გასაქანი მისცენ კერძო სამამულო, და მით უმეტეს, უცხოურ კაპიტალს, ნება მისცენ კერძო კაპიტალს განავითაროს თავდაპირველი კაპიტალისტური დაგროვების სტადია, ესე იგი ჩაახშოს და ძარცვოს ხალხი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყნებმა არც უნდა გაიმეორონ კაპიტალიზმის მთელი მტანჯველი გზა, რომ მივიდნენ სოციალიზმამდე.

თავის დროზე ლენინი აღნიშნავდა, რომ სოციალისტური ქვეყნების არსებობის პირობებში, აზიის ხალხები, რომლებიც საუკუნეობრივი ძილისაგან გამოიღვიძებენ, განთავისუფლდებიან კოლონიური ჩაგვრის უღლისაგან, გამონახავენ თავიანთ ახალ გარდამავალ ფორმებსა და გზებს, რათა თავიდან აიცილონ კაპიტალიზმის დროის ტანჯვა.

ლენინის ამ მკაფიო აზრის სხივი გვეხმარება გავიგოთ, თუ როგორია აზიისა და აფრიკის ქვეყნების ხალხთა განვითარების გზა.

ამ თვალსაზრისით მარქსისტებს არ შეუძლიათ დადებითად არ მოეკიდონ აზიისა და აფრიკის ისეთი ქვეყნების მთელი რიგი მთავრობების პოლიტიკას, როგორიც არიან ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია, ეგვიპტე და ზოგიერთი სხვა, პოლიტიკას, რომლის მიზანია სახელმწიფო საწარმოების შექმნა, უწინარეს ყოვლისა მძიმე მრეწველობის დარგში.

რასაკვირველია, ჩვენ უნდა შეგვეძლოს ვხედავდეთ, თუ რით გასხვავდება ერთმანეთისაგან სახელმწიფო კაპიტალისტური საწარმოები, რომლებიც შენდება, მაგალითად, ინდოეთში, მათი საზოგადო მნიშვნელობა და როლი, და სახელმწიფო კაპიტალისტური საწარმოები, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

გზებს, რომლებსაც ადგანან და რომლებსაც იკაფავენ ინდოეთი, ბირმა, ინდონეზია, ეგვიპტე და ზოგიერთი სხვა ქვეყანა, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ზოგადი საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვთ. თუ დავსვამთ კითხვას: ხელს უწყობს თუ არა იმპერიალიზმს ან ძირს უთხრის თუ არა მას ამ ქვეყნების პოლიტიკა, მათი მისწრაფება მშვიდობიანადმი, მათი ბრძოლა ომის წინააღმდეგ, სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებების დასაცავად, კოლონიალიზმის წინაღმდეგ, პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ასეთი ქვეყნების განვითარების გზა, მათი პოლიტიკა ასუსტებს იმპერიალიზმს, აღრმავებს კაპიტალისტური სისტემის კრიზისს, ანადგურებს კოლონიალიზმს როგორც ამ სისტემის ერთ-ერთ დასაყრდენს, აახლოვებს კაპიტალიზმის აღსასრულს.

საერთოდ შემთხვევითი როდია, რომ ასეთ ქვეყნებში სულ უფრო მეტ სიმპათიასა და პოპულარობას იხვეჭს სოციალისტური იდეები და ლოზუნგები, რომ ყველა ამ სახელმწიფოს ყველა პროგრესულ ადამიანს მიპყრობილი აქვს თვალი საბჭოთა კავშირისადმი, სახალხო ჩინეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისადმი. შემთხვევითი როდია, რომ ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის გარდაქმნის მეთოდებს, სოციალისტური ქვეყნების კულტურული მშენებლობის გამოცდილებას ამ ქვეყნებისთვისაც მიენიჭა ან ენიჭება გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა. ადგანან რა სხვა გზებს, ისინი ამ გამოცდილებიდან იღებენ იმას, რაც მათ გამოადგებათ, რადგან ეს მხოლოდ ეხმარება მათ წინსვლაში, მხოლოდ აძლიერებს მათ მძიმე ბრძოლაში სრული დამოუკიდებლობისათვის, ეკონომიური, სოციალური და კულტურული პროგრესისათვის.

კაცობრიობის შემდგომი ბედი დამოკიდებულია არა მარტო ერთი მხრივ სოციალიზმის ქვეყნების განვითარებაზე, და მეორე მხრივ კაპიტალიზმის მდგომარეობაზე, არამედ სერიოზულად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ განვითარდებიან, რა პოლიტიკას განახორციელებენ აზიისა და აფრიკის ამჟამად თავისუფალი ქვეყნები, რომლებიც ერთ დროს კაპიტალიზმის ზურგს წარმოადგენდნენ. აღარა ჰყავთ რა ეს რეზერვი, იმპერიალისტები კვლავ ყველა შესაძლო საშუალებით ცდილობენ ისევ დაიმორჩილონ ეს ქვეყნები. მაგრამ იმპერიალისტთა ამ ცდებს ახლა უპირისპირდება მზარდი ერთიანობა აზიისა და აფრიკის ხალხებისა, რომლებიც დაადგნენ იმპერიალიზმთან აქტიური ბრძოლის გზას, რის მკაფიო მაგალითიც იყო ბანდუნგის ისტორიული კონფერენცია.

ამხანაგებო, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სოციალიზმის გზით მიმავალი სხვა ქვეყნების მტკიცე, თანმიმდევრული პოზიცია საყოველთაო მშვიდობის დაცვის საქმესა და თანამედროვე აგრესიული ძალებისადმი წინააღმდეგობის საქმეში სულ უფრო სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო მოვლენების განვითარებაზე იმ მხრივ, რომ შეენელდეს დაძაბულობა და განმტკიცდეს მშვიდობა. ჩინეთი მშვიდობის მძლავრი ფაქტორი გახდა, და არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დაიკავოს ღირსეული ადგილი საერთაშორისო საქმეებში. (ტაში).

დიდმა ლენინმა მოგვცა საერთაშორისო ურთიერთობის საფუძველთა საფუძველი — მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა. მსოფლიოს ხალხები დიდად აფასებენ ჩინეთის, აგრეთვე ინდოეთის, ინდონეზიის მეცადინეობას, რომლებმაც წამოაყენეს ცნობილი „ხუთი პრინციპი“ („უ ს

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობაზე

პეკინი, 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობა განაგრძობდა მუშაობას.

ყრილობის სამმანდატო კომისიის თავმჯდომარის ამხ. დუნ ბი-უს მოკლე გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ამხ. ჯუ დეს.

VII ყრილობის შემდეგ განვლილ თერთმეტ წელიწადში, თქვა ჯუ დემ, ჩინელმა ხალხმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მძიმე და რთული ბრძოლის მსვლელობაში მოიპოვა დიდი გამარჯვება დემოკრატიულ რევოლუციაში, ხოლო შემდეგ ძირითადად მოიპოვა დიდი გამარჯვება სოციალისტურ რევოლუციაში და დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

მე დარწმუნებული ვარ, განაცხადა ჯუ დემ, რომ ყრილობა, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყველა წევრი და მთელი ჩინელი ხალხი კმაყოფილების გრძნობით აფასებენ მეშვიდე მოწვევის ცენტრალური კომიტეტის თერთმეტ წლის მუშაობას.

რომ შეესრულოთ ძირითადი ამოცანა, რომელიც ამჟამად დგას პარტიისა და მთელი ჩინელი ხალხი ამაყოფილების გრძნობით აფასებენ მეშვიდე მოწვევის ცენტრალური კომიტეტის თერთმეტ წლის მუშაობას.

რომ შეესრულოთ ძირითადი ამოცანა, — მელიც ამჟამად დგას პარტიისა და მთელი ჩინელი ხალხი ამაყოფილების გრძნობით აფასებენ მეშვიდე მოწვევის ცენტრალური კომიტეტის თერთმეტ წლის მუშაობას.

რომ შეესრულოთ ძირითადი ამოცანა, — ჩვენი ქვეყნის ხალხის წინაშე — გადავაქციოთ ჩინეთი დიდ სოციალისტურ სახელმწიფოდ, საჭიროა განვაგრძოთ იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც დასახულია სოციალისტურ გარდაქმნათა დარგში. ეს გრანდიოზული მუშაობაა. ალბათ, საჭირო იქნება კიდევ რამდენიმე წელიწადი, რომ სავსებით დავამთავროთ ინდივიდუალური საკუთრებიდან კოლექტიურ, სოციალისტურ საკუთრებაზე გადასვლა, კაპიტალისტური საკუთრებიდან სახელმწიფო სოციალისტურ საკუთრებაზე გადასვლა. მეორე მხრივ, საჭიროა კვლავაც ვახორციელებდეთ სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციას. ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული მესამე ხუთწლედის ამოცანები — ძირითადად განვახორციელოთ ჩვენს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია და სამრეწველო წარმოების დონით რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დავეწიოთ მრეწველობის მხრივ მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს — შეიძლება შესრულდეს მხოლოდ დიდი ღონისძიებებით და მრავალი სიძნელის გადალახვის შედეგად.

აღნიშნა რა, რომ ჩინელი ხალხის წინაშე დასახული დიდი ამოცანების შესასრულებლად მოიპოვება ყველა ხელსაყრელი პირობა, ამხ. ჯუ დემ თქვა, რომ ჩინეთის შიგნით ყველაზე ხელსაყრელი პირობაა მთელი ამ ქვეყნის ხალხთა დიადი დარაზმვა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. დარაზმული 600-მილიონიანი ხალხი დიადი ძალაა. ამჟამად ძირითადად სოციალისტურ გარდაქმნათა დამთავრების მეოხებით კიდევ უფრო განმტკიცდა ჩინეთის ყველა ეროვნების დიადი დარაზმვა მუშათა და გლეხთა კავშირის ბაზაზე. ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და სახალხო მთავრობის გარშემო 600-მილიონიანი ჩინელი ხალხის მჭიდროდ დარაზმვა, მისი მაღალი აქტივობა და შრომითი ენთუზიაზმი იმის პირობაა, რომ ჩინელი ხალხი შედარებით სწრაფი ტემპით შექმნის მაღალინდუსტრიულ სოციალისტურ სახელმწიფოს.

ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობის მეორე დიდმნიშვნელოვანი ხელსაყრელი პირობაა, განაგრძო ჯუ დემ, ვრცელი ტერიტორია, რესურსების სიუხვე და მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, სამრეწველო ნედლეულის დიდი მარაგი.

სამშობლოს საბოლოო გაერთიანებისათვის, აშბობს ამხ. ჯუ დე, ჩვენს წინაშე დგას ამოცანა გავათავისუფლოთ ჩინეთის წმიდა ტერიტორია — კუნძული ტაივანი. როგორც აღნიშნული იყო ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში, ჩვენ ვეცდებით ტაივანი გავათავისუფლოთ შეძლებისდაგვარად მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით, არ გამოვიყენოთ შეიარაღებული ძალა, რადგან ეს შეესაბამება ჩინელი ხალხის ინტერესებს, ამასთანავე ტაივანის პროვინციის ხალხს, ტაივანის სამხედრო და ადმინისტრაციული მუშაკების ინტერესებს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ტაივანის სამხედრო და ადმინისტრაციული მუშაკები გაბედულად დადგებიან პატრიოტიზმის პოზიციაზე და დაუბრუნდებიან სამშობლოს კალთებს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაისახება მათ წინაშე ნათელი პერსპექტივები. იმის მიუხედავად, თუ რა ფორმები იქნება გამოყენებული, ტაივანი უცილობლად განთავისუფლდება.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობას, ამხ. ჯუ დემ ხაზი გაუსვა, რომ ახლა საერთაშორისო ვითარება უაღრესად ხელსაყრელია ჩინეთის სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის. მან თქვა, რომ სოციალისტური მშენებლობისათვის გადამწყვეტ ბრძოლაში საჭიროა განუწყვეტლივ მტკიცდებოდეს პარტიის წევრთა დარაზმულობა, რის მეოხებით შეიძლება მიღწეულ იქნას მთელი ჩინელი ხალხის დარაზმულობა და აქტივობა.

ჩვენი ამოცანები რთულია, თქვა დასასრულ ამხ. ჯუ დემ, მაგრამ თუ გავაძლიერებთ დარაზმულობას პარტიის შიგნით და პარტიის შეკავშრებას მთელ ხალხთან, ჩვენ. უთუოდ შეგასრულებთ ძირითად ამოცანებს, რომლებსაც ეს ყრილობა დასახავს, დავარაზმავთ ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მთელ ძალებს, რომელთა დარაზმვაც შეიძლება, სრულად გამოვიყენებთ ყველა ხელსაყრელ პირობას და გადავაქცევთ ჩინეთს დიდ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

მთელი რიგი დელეგატების გამოსვლის შემდეგ გომინდანის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარემ ლი ძი-შენმა წაიკითხა ჩინეთის დემოკრატიული პარტიების — გომინდანის რევოლუციური კომიტეტის, დემოკრატიული ლიგისა და სხვების მისალმება ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობისადმი.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობას, ხაზგასმულია მისალმებაში, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. იგი მოწვეულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეშვიდე წლისთავის წინახანს, ეროვნული მშენებლობის დარგში დიდ გამარჯვებათა ვითარებაში. დემოკრატიული პარტიები და დაჯგუფებანი მხურვალედ და გულწრფელად მიესალმებიან ყრილობას. მისი წარმატებითი მუშაობა არა მარტო შესაძლებელს გახდის უზრუნველყოფილ იქნას ჩინელი ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის თანდათანობით ამაღლება, არამედ ამასთანავე თვალსაჩინო წვლილი იქნება მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების განმტკიცების საქმეში, ბედნიერი ცხოვრებისაკენ კაცობრობის წინასწარს საქმეში.

ჩვენ, ნათქვამია მისალმების დასასრულს, გვსურს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მთელ ხალხთან ერთად ვიარაოთ წინ თანამშრომლობის განუწყვეტელი განმტკიცების გზით, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რათა საერთო ძალებით ავაშენოთ დიდი სოციალისტური სახელმწიფო, დავიცვათ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

შესვენების შემდეგ ყრილობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელით მიესალმა ამხ. ა. ნ. მიქოიანი. თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ა. ი. მიქოიანმა წაიკითხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ჩინეთის კომუნისტური პარტიის მერვე სრულიად ჩინეთის ყრილობისადმი, რასაც ყრილობის დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

შემდეგ სიტყვა მიეცა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის დელეგაციის მეთაურს ამხ. ედვარდ ოხაბს. გადასცა რა ყრილობის დელეგატებს საუკეთესო სურვილები, ე. ოხაბმა განაცხადა, რომ პოლონელ ხალხს, რომელიც დიდი თანაგრძნობით აღევნებს თვალს ჩინელი ხალხის განმთავისუფლებელ ბრძოლას, უხარია მისი წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში.

ე. ოხაბმა აღნიშნა პოლონელი ხალხის წარმატებანი და ხაზი გაუსვა, რომ სოციალისტური მშენებლობის ახალი ამოცანების შესასრულებლად პოლონეთს, ისევე როგორც დემოკრატიული ბანაკის ყველა ქვეყანას, ესაჭიროება მშვიდობა. პოლონელ ხალხს, რომელმაც გამოსცადა ომის ყველა საშინელება, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც დაიცვას მშვიდობა მთელ მსოფლიოში, განამტკიცოს მეგობრული კავშირი საბჭოთა კავშირთან, ჩინეთთან და სხვა მოძმე ქვეყნებთან.

ტრიბუნაზეა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციის მეთაური ამხ. ვალტერ ულბრიხტი. გერმანიის პროგრესული ძალები, თქვა მან, მადლობელი არიან ჩინელი კომუნისტებისა, რომლებმაც თავიანთი გამარჯვებებით სოციალისტური ბანაკის სასარგებლოდ შეცვალეს ძალთა თანაფარდობა მსოფლიო არენაზე. თქვენი წარმატებანი, განაგრძო ვ. ულბრიხტმა, განპირობებულია მარქსიზმ-ლენინიზმის სწორი გამოყენებით ჩინეთის პირობებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ თქვენს ყრილობას დიდი წვლილი შეაქვს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. თქვენს ტაქტიკას გარდამავალ პერიოდში — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური პარტიებისათვის. ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა შედიან ერთ ბანაკში, გაერთიანებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტთან მეგობრობითა და თანამშრომლობით.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანიის ისტორიაში მუშათა და გლეხთა პირველი რესპუბლიკაა. იგი იმყოფება დემოკრატიული ბანაკის დასავლეთის ფლანგზე და ამიტომ მას ეკისრება განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა. ჩვენ, განაცხადა ვ. ულბრიხტმა, მშვიდობიან შეჯიბრებაში უნდა დავამტკიცოთ სოციალისტური სისტემის უპირატესობანი. ამას ჩვენ შევასრულებთ. ამის საწინდარია ხალხის შრომითი ენთუზიაზმი და მოძმე ქვეყნების დახმარება.

დასავლეთგერმანელ მილიტარისტებს უნდათ აღადგინონ ფაშისტური გერმანია, დაამყარონ თავიანთი ბატონობა ევროპაში. გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვა ახალი ნაბიჯია ბონელი ხელისუფლებისა, რომლებიც ჰიტლერის კვალს მისდევენ. დასავლეთგერმანელი ხელისუფალნი ნატო-ს სისტემისათვის მხარდაჭერაში იქამდე მივიდნენ, რომ სუეცის არხის საკითხში მიემხრნენ დასავლეთის სახელმწიფოებს ეგვიპტის წინააღმდეგ. გერმანელი ხალხი ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგია. იგი მშვიდობას მოითხოვს. იგი მოითხოვს თავისი ქვეყნის მშვიდობიან გაერთიანებას. იგი მარტო როდია თავის ბრძოლაში. მის მხარეზე არიან საბჭოთა კავშირი, ჩინეთი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები.

დასასრულ ულბრიხტმა გამოაქვეყნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობისადმი.

გამოდის რუმინეთის მუშათა პარტიის დელეგაციის მეთაური გ. გეორგიუ-დეჟი. ჩინეთის კომუნისტური პარტია, ამბობს იგი, წარმოადგენს მასებთან მჭიდრო კავშირის მაგალითს, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლეველობის ერთგულების მაგალითს. რუმინელი ხალხი მილოცავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკურ ხაზს საერთაშორისო ურთიერთობაში. იგი აცხადებს, რომ 600-მილიონიანი ჩინეთის უგულებელყოფა არ შეიძლება. თუ მან მონაწილეობა არ მიიღო, ვერც ერთი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხი ვერ გადაწყდება. რუმინელი ხალხი ამაყობს დიდ ჩინელ ხალხთან მეგობრობით. იგი შრომობს თავისი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის განსამტკიცებლად, მტკიცედ მიდის წინ სოციალიზმის გზით. გ. გეორგიუ-დეჟმა გამარჯვება უსურვა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ურყევ მეგობრობას, თანამშრომლობასა და ერთიანობას.

დღევანდელ სხდომაზე კამათში მიმოვიხილნენ ლი დინ-ციუანი (სიჩუანის პროვინციის პარტიული ორგანიზაცია); ვან ჯი-ჯუნი (ხუბეის პროვინციის პარტიული ორგანიზაცია), ჩენ პი-სიანი (ანხოის პარტიული ორგანიზაცია) და სხვა დელეგატები. ყველა მათგანმა მოიწონა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, სავსებით დაუჭირა მხარი მოხსენებებს, რომლებიც ამხანაგებმა ლიუ შაო-ცის, დენ სიაო-პინმა და ჯოუ ენ-ლაიმ გააკეთეს.

ორატორებმა განაცხადეს, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები გამსჭვალულნი არიან მისწრაფებით შეასრულონ ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ყველა ამოცანა.

ხვალ ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

ეგვიპტის მთავრობის ნოტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი

კაირო, 18 სექტემბერი. (საკდესი). მენის აგენტმა გადასცა ტექსტი ეგვიპტის მთავრობის ნოტისა, რომელიც გუშინ ეგვიპტის ელჩმა ბ. ფაუდმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ომარ ლიუტფიმ გადასცა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს იმ მდგომარეობის შესახებ, რაც შეიქმნა სუეცის არხის კომპანიის ნაციონალიზაციის შემდეგ. ნოტაში ნათქვამია, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობების მოქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნის საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას და უაღრესად სერიოზულად არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

პრეზიდენტ ნასერის განცხადება

ლონდონი, 17 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა თავის ინტერვიუში პრეს ტრასტ ოფ ინდიას საგენტოს წარმომადგენლისადმი განაცხადა, რომ ეგვიპტე მზად არის მოიგერიოს ყოველგვარი აგრესია, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი. პრეზიდენტმა ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტეს არავითარი აგრესიული გეგმები არა აქვს, მაგრამ თუ თავს დაესხმიან, მას საკმაო ძალები მოეპოვება. რითა მოიგერიოს ეს თავდასხმა.

შემდეგ პრეზიდენტმა ნასერმა თქვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები იმდენად სუეცის არხის ბედით როდი არიან შეშფოთებული, რამდენადაც „არაბთა სამყაროში თავისი ძალის პრესტიჟით“. დასავლეთის სახელმწიფოები ფიქრობენ, აღნიშნა ნასერმა, რომ თუ ისინი წააგებენ ბრძოლას სუეცის არხისათვის, შეიძლება საერთოდ განდევნილი აღმოჩნდნენ არაბთა სამყაროდან. „ან რა აწუხებთ მათ ყველაზე მეტად“. „მე ვფიქრობ, — განაგრძო მან, — რომ სუეცის არხთან დაკავშირებულმა ახლანდელმა კრიზისმა, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შეაკავშირა არაბთა სამყარო, და დასავლეთი უკვე გრძნობს ამას“.

შეეხო რა სუეცის პრობლემის გადაჭრის პერსპექტივებს, პრეზიდენტმა ნასერმა ხაზგასმით აღნიშნა: „სუეცის არხი ეგვიპტეს ეკუთვნის, და ჩვენ არ დავთმობთ ეგვიპტის ტერიტორიის არც ერთ ნაწილს. ჩვენ აგრეთვე ნებას არ მივცემთ არხით მოსარგებლეთა ასოციაციას, რომლის შექმნის წინადადება წამოაყენა დასავლეთმა, იმოქმედოს სუეცის არხში. ჩვენ, ეგვიპტელებს, ეფექტიანად შეგვიძლია არხის მართვა და თუ, მიუხედავად ამისა, ასოციაცია ძალით შემოიჭრება სუეცის არხში, ეს იქნება აგრესია, და მას მოვეპყრობით როგორც აგრესიას“.

შეეხო რა იმ ცდების ჩაფუშვას, რომ ეგვიპტისათვის თავს მოეხვიათ უცხოელთა მიერ არხის მართვა „დალესის გეგმისა“ და ეგრეთწოდებული „მენზისის მისიის“ დახმარებით, ნასერმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, „მენზისის მისიას“ განზრახული არა ჰქონდა მიეღწია პრობლემის მოწესრიგებისათვის მოლაპარაკების გზით, არამედ მხოლოდ სურდა, რომ ეგვიპტეს მიეღო „დალესის გეგმა“.

შემდეგ ნასერმა თქვა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ ეგვიპტის სტერლინგის ანგარიშების გაყინვამ „თვალი უნდა აუხილოს აზიისა და აფრიკის ქვეყნებს“, რომლებიც ამბანაგებმა ლიუ შაო-ცის, დენ სიაო-პინმა და ჯოუ ენ-ლაიმ გააკეთეს.

ორატორებმა განაცხადეს, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები გამსჭვალულნი არიან მისწრაფებით შეასრულონ ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ყველა ამოცანა.

ხვალ ყრილობა განაგრძობს მუშაობას.

ეგვიპტის საზოგადოებრიობა მიესალმება საბჭოთა მთავრობის განცხადებას სუეცის საკითხზე

კაირო, 16 სექტემბერი. (საკდესი). ეგვიპტის საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმება საბჭოთა მთავრობის განცხადებას სუეცის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების საჭიროების შესახებ.

ყველა გაზეთმა დიდი სათაურით თვალსაჩინო ადგილას დაბეჭდა განცხადების დაწვრილებითი შინაარსი. პრესა დიდი კმაყოფილებით წერს, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ გმობს სამხედრო მზადებას, რასაც ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა მიმართეს შეერთებული შტატების პირდაპირი მხარდაჭერით, და ეს ღონისძიებანი მიაჩნია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების უხეშ დარღვევად.

კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა მთავრობის განცხადებას, გაზეთი „ალ-აჰრამი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობების სამხედრო ღონისძიებანი, ამავე დროს ცდა თავს მოახვიონ ეგვიპტეს „დალესის გეგმა“, ატლანტიკის ბლოკის საბჭოს, რიგგარეშე სესიის მოწვევა და ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის შეთანხმება, რომ დაუყოვნებლივ შეიქმნას სუეცის არხით მოსარგებლეთა ასოციაცია, წარმოადგენს „სერიოზულ პროვოკაციასა და მზადებას ძალის გამოყენებისათვის და აღღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას“.

ყამირზე მოლაშქრეთა დაგრუნება

მახარაძელთა დელეგაცია გენიჩესკიდან გამოემგზავრა

გენიჩესკი. 18 სექტემბერი. (სპეც. კორ.). გენიჩესკში თორმეტი დღის ყოფნის შემდეგ, 18 სექტემბერს სამშობლოში გაემგზავრა მახარაძელთა დელეგაცია. დელეგაციის გამგზავრებასთან დაკავშირებით მოეწყო ხალხმრავალი მიტინგი, რომელშიც ათასობით მშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის მეგობრობისა და ძმური ურთიერთდახმარების შესახებ მხურვალე სიტყვა წარმოთქვა პარტიის გენიჩესკის რაიკომის მდივანმა ა. პრილიპკომ, რომელმაც აღიაცხადა: ქართველებსა და უკრაინელებს შორის გაწლილი სოციალისტური შეჯიბრება ყოველმხრივ უწყობს ხელს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ მძლავრ აღმავლობას. ეს ტრადიციული შეჯიბრება გადაიზარდა ურთიერთ პრაქტიკულ დახმარებასა და მოწონებაში დაბრუნებულ ახალგაზრდებს.

სადგურის პერონზე სახელდახელო მიტინგი გაიმართა. მიტინგი გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. ჯანელიძემ.

— თქვენ, საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა პატრიოტებმა, — განაცხადა ამხ. ჯანელიძემ, — ღირსეულად შეასრულეთ მშობლიური კომუნისტური პარტიის დავალება, სახელოვან მეყამირეებთან ერთად თავდადებით იმუშავეთ პურეულის უზვი მოსავლის უდანაკარგოდ და შემეიდროებულ ვადებში აღებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს ახარებდა მოძმე ეროვნებათიდან მიღებული ცნობები იმ გმირულ შრომაზე, რომელსაც თქვენ რუს, უკრაინელ, სომეხ, ბელორუს და სხვა ეროვნებათა ახალგაზრდა წარგზავნილებთან ერთად ყაზახეთის უზვმოსავლიან ველებზე ეწეოდით.

მიტინგზე სიტყვა სახოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ა. ჩაბრავამ განაცხადა:

— მოხარული ვარ გითხრათ, რომ საქართველოს ახალგაზრდობის წარგზავნილები ვიუკაცურად შრომობდნენ ყაზახეთის ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. პარტიისა და მთავრობის სა-



ტატიო დავალება პირნათლად შესრულეთ: სამშობლოს სავატრიოტო პატიოსნ ბრძოლა მოგიანი მოსავალი.

ამავე ამტანლებებს მეზობარე სოფლებით მიმართა და გამარჯვებით დაბრუნება მიულოცა, შრომასა და სწავლაში ახალი წარმატებები უსურვა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ნ. მახარაძემ.

ტრიბუნაზე ადის მზისაგან გარუჯული, ტანბრგე ჭაბუკი ნ. ლუკიანოვი.

— ადამიანის ცხოვრებაში, — თქვა მან, — არის ისეთი სასიხარულო დღეები და საათები, რომელთა დავიწყება შეუძლებელია. ასე იყო იქაც, გატეხილ ყამირზე. ვშრომობდით მთელი ჩვენი ენთუზიაზმით. კომკავშირული შეუპოვრობით ვძლევდით დაბრკოლებებს. მე, როგორც მექანიზატორმა ავფხაზეთის ახალგაზრდობის სხვა წარგზავნილებთან ერთად, ჩემი წვლილი შევიტანე საერთოსახალხო საქმეში. კოლმეურნეები ყოველთვის სიამაყით მოიგონებენ კომკავშირელების ნ. ზანთარიას, ე. გუგეშაშვილის, ა. დუდუხჩიანის, ვ. ნალბას და სხვათა სახელებს, მათს თავდადებულ შრომას. მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის განაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველას აჯობა კომკავშირელმა მ. კრივცოვმა. მან 40 დღეში 214 შრომადღე გამოიმუშავა. ამ წარმატებებისათვის მ. კრივცოვი ყაზახეთის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელით იქნა დაჯილდოებული.

ქართველი მწერლების სახელით სახელოვან პატრიოტებს მხურვალედ მიესალმა პოეტი ი. ნონეშვილი.

— ჩვენ ღრმა რწმენას გამოვთქვამთ, — განაცხადა მან, — რომ თქვენ მშობლიურ ადგილებში დაბრუნების შემდეგაც კვლავ არაერთხელ ახახლებთ ლენინურ კომკავშირს შრომასა და სწავლაში. თავისი სიტყვის დასასრულს პოეტი ლექსით მიმართავს შეკრებილთ:

...ბაშ რისთვის გვინდა მარჯვენა,
ბაშ რისთვის გვინდა მხარ-მკლავი,
რისთვის უცინით ლამაზებს
თვალები — წყვილი ვარსკვლავი.
ბაშ რისთვის მოგვცა საშობლომ
ნათელი ახალგაზრდობა,
თუ ჩვენი საქმით, გმირობით
არ გადეუხადეთ მაღლობა!..

ყამირი მიწებიდან დაბრუნებულთა მიესალმნენ აგრეთვე თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მ. კუნკუნელია და სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალი ლ. ბაკინი.

მიტინგი დასრულდა, მაგრამ პერონზე კვლავ დიდძალი ხალხია. ნათესავები, ნაცნობები, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები ესაუბრებიან ყამირიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებს.

* * *

გუშინ შუადღისას ეშელონმა გზა განაგრძო დასავლეთ საქართველოსაკენ... ახალგაზრდა ბრუნდებიან ხაშურელი, ზესტაფონელი, გუდაუთელი და სხვა რაიონების ახალგაზრდობის სახელოვანი წარგზავნილები — საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში გამარჯვებული მამაცი ქალიშვილები და ჭაბუკები.

ა. გოცირიძე.

* * *

სურათზე: ყამირი მიწებიდან დაბრუნებულებთან შეხვედრა თბილისის სადგურზე.

ფოტო ვ. უზნაძისა.

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის რკინიგზის სადგური ხაზეიმოდ იყო მორთული. ვაგზალზე შეიკრებნენ პარტიული, კომკავშირული და საბჭოთა ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლებისა და საწარმო-დაწესებულებების წარმომადგენლები. ფერად-ფერადი ყვავილების თაიგულებით მოსულან პიონერები. ისინი მოელიან ეშელონს, რომელიც დღეს ყაზახეთის გატეხილი ყამირიდან ბრუნდება, ელოდებიან საქართველოს ახალგაზრდობის წარგზავნილებს, გამარჯვებულ და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ მამაც ქალიშვილებსა და ჭაბუკებს.

...დადგა სახიხარულო წუთებიც. ეშელონი „კუსტანაი-თბილისი“ მზის სხივებით გაბრწყინებულ სადგურში ჩამოდგა. ცისფერი ვაგონებიდან გადმოდიან სახელოვანი პატრიოტები, ყაზახეთის მცხუნვარე მზისაგან გაშავებული, მოდიმარი სახეებით. გაისმის გულითადი მისალმების სიტყვები, დამბდურები მხურვალედ იკრავენ მკერდში ყამირი მიწებიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებს.

სადგურის პერონზე სახელდახელო მიტინგი გაიმართა. მიტინგი გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თ. ჯანელიძემ.

— თქვენ, საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა პატრიოტებმა, — განაცხადა ამხ. ჯანელიძემ, — ღირსეულად შეასრულეთ მშობლიური კომუნისტური პარტიის დავალება, სახელოვან მეყამირეებთან ერთად თავდადებით იმუშავეთ პურეულის უზვი მოსავლის უდანაკარგოდ და შემეიდროებულ ვადებში აღებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს ახარებდა მოძმე ეროვნებათიდან მიღებული ცნობები იმ გმირულ შრომაზე, რომელსაც თქვენ რუს, უკრაინელ, სომეხ, ბელორუს და სხვა ეროვნებათა ახალგაზრდა წარგზავნილებთან ერთად ყაზახეთის უზვმოსავლიან ველებზე ეწეოდით.

მიტინგზე სიტყვა სახოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ა. ჩაბრავამ განაცხადა:

— მოხარული ვარ გითხრათ, რომ საქართველოს ახალგაზრდობის წარგზავნილები ვიუკაცურად შრომობდნენ ყაზახეთის ყამირ და ნასვენ მიწებზე მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. პარტიისა და მთავრობის სა-

მაცივარკომბინატში

ათასობით ტონა სასურსათო პროდუქტების — ხორცის, თევზის, ხილის და სხვ. თერმული დამუშავება წარმოებს თბილისის მაცივარკომბინატში. აქ ერთდროულად ინახება 10.000 ტონაზე მეტი სხვადასხვა პროდუქტები, ხოლო მთელი წლის განმავლობაში მას შეუძლია გადამუშაოს ათეულ ათასობით ტონა. გაყინული ხილი — ვაშლი, ქლიავი, ატამი, ყურძენი, მსხალი, ტყემალი და სხვ. სპეციალური მატარებლებით დიდი რაოდენობით იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის შორეულ აღმოსავლეთსა და უკიდურეს ჩრდილოეთში.

კომბინატის დამხმარე წარმოება — ნაყინის საამქრო ამზადებს სხვადასხვა სახის ნაყინს და პლომბირს. მარტო წლის ბოლომდე დამზადდება 1.600 ტონა ნაყინი. აქვე დიდი რაოდენობით მზადდება ყინული საზოგადოებრივი კვების, საავეჯო ორგანიზაციებისათვის, თევზის საწარმოებისათვის, აგრეთვე ფართო მოხმარებისათვის.

მაცივარკომბინატთან განზრახულია აიგოს ნაყინის ახალი ფაბრიკა, რომლის პროდუქცია მთლიანად დაკმაყოფილებს ქალაქის მშრომელთა მოთხოვნილებას ნაყინზე.

დიდი მოგება

თელავი. (საკ. კორ.). სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ წევრმა ნიკოლოზ ბლეფაშვილმა თელავის ცენტრალურ შუბნახველ სალაროში წარადგინა სსრ კავშირის ს ხალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სახელმწიფო სესხის ორასმანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც ხვდა 50.000 მანეთი მოგება.

ლექცია

19 სექტემბერს საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე 26 კომისრის სახელობის საზაფხულო კინოთეატრის შენობაში (შუამიანის ქ. № 15) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ფილისაიანის (ერევანი) საჯარო ლექციას თემაზე: „საბჭოთა სოფლიანის მიღწევები ეკონომიური და კულტურული მშენებლობის დარგში (სომხური ენაზე).

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

შემნახველ სალაროებში შეტანილი ანაბრები ხელს უწყობენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

1956 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ქ. რუსთავში გაიმართება საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მოგებათა მორიგი 28-ე ტირაჟი.

ყოველ ათას ანგარიშზე ტირაჟში გათამაშებული იქნება 25 მოგება, მათ შორის:

ერთი მოგება ანაბრის გასული ნახევარწლის საშუალო ნაშთის 200%-ის ოდენობით, ორი მოგება თითო 100%-ის ოდენობით, ორი მოგება თითო 50%-ის ოდენობით და ოცი მოგება თითო 25%-ის ოდენობით.

რაც უფრო მეტია ანაბრის თანხა და რაც უფრო